საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (პარლამენტის უწყებანი, №13, 7.06.96, გვ. 12) დაემატოს შემდეგი შინაარსის 21[1] მუხლი:

„მუხლი 21[1]

1. სახალხო დაცველი ნიშნავს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ორ წევრს.
2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით საქართველოს სახალხო დამცველი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ.
3. მეურვეობის კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში სახალხო დამცველი ქმნის საკონკურსო კომისიას და თავის ვებ გვერდზე და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში აქვეყნებს მეურვეობის კანდიდატთა სიას.
4. საკონკურსო კომისია მეურვეობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით შეარჩევს კანდიდატებს და სახალხო დამცველს ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარუდგენს სულ ცოტა 3 კანდიდატურას.
5. სახალხო დამცველი მეურვეს ნიშნავს მეურვეობის კანდიდატურების მისთვის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.
6. სახალხო დამცველი უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება მის მიერ დანიშნულ მეურვეს თუკი მის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების შეზღუდვას, ტუსაღობას ან თავისუფლების ვადიან ან უვადო აღკვეთას ან თუ სასამართლო მას ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად აღიარებს - სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.
7. სახალხო დამცველს უფლება აქვს პარლამენტის წინაშე დასვას მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი თუკი მეურვე დაარღვევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის ნორმებს ან ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს მეურვის უფლებამოსილებას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

ქუთაისი,
2013 წლის.....

6 · 2013